საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

საინფორმაციო ფურცელი

მსოფლიოში კონკურენციის უწყებების მიერ განხორციელებული აქტივობები

აპრილი, 2026

საფრანგეთის კონკურენციის უწყება

საფრანგეთის კონკურენციის უწყებამ NEXANS და SONEPAR დააჯარიმა ექსკლუზიური იმპორტის უფლებების კარტელური შეთანხმების გამო

საფრანგეთის კონკურენციის ჯარიმები დააკისრა Nexans France-სა და მის მშობელ კომპანიას Nexans-ს, ასევე Sonepar ჯგუფის კომპანიებს, ექსკლუზიური იმპორტის უფლებებთან დაკავშირებული ანტიკონკურენციული შეთანხმების (კარტელის) გამო.

დარღვევა მოიცავს პერიოდს 2015 წლის 13 მაისიდან 2023 წლის 20 ნოემბრამდე და უკავშირდება შეთანხმებულ პრაქტიკას, რომლის ფარგლებში Nexans-

ის ჯგუფის კომპანიებმა Sonepar ჯგუფის კომპანიებს მიანიჭეს Nexans-ის ელექტროსადენების ექსკლუზიური იმპორტის უფლებები.

მოკვლევა დაიწყო DGCCRF-ის ანგარიშის, ანონიმური ინფორმაციის და dawn raids-ის საფუძველზე.

კომპანიებმა არ უარყვეს ფაქტობრივი გარემოებები და ისარგებლეს შეთანხმების პროცედურით, რომლის ფარგლებში ჯარიმა განისაზღვრება გენერალური მომხსენებლის მიერ შეთავაზებული პირობების ფარგლებში და მხარეთა თანხმობით.

საბოლოოდ, უწყებამ დააკისრა საერთო ჯარიმა 6.5 მილიონი ევროს ოდენობით, საიდანაც 3 მილიონი ევრო დაეკისრა Nexans France-ის ჯგუფს, ხოლო 3.5 მილიონი ევრო Sonepar ჯგუფის კომპანიებს.

უწყების შეფასებით, ეს წარმოადგენს ერთ-ერთ უმაღლეს სანქციას, რომელიც დღემდე დაკისრებულა ექსკლუზიური იმპორტის უფლებებთან დაკავშირებული ანტიკონკურენციული შეთანხმებების საქმეებზე.

წყარო:

02

საფრანგეთის კონკურენციის უწყება

კონკურენციის უწყებამ SYNADIS BIO, GREENWEEZ (CARRWFOUR), ITM ENTREPRISES და LES COMPTOIRS DE LA BIO 12.6 მილიონი ევროთი დააჯარიმა ანტიკონკურენტული ეთანხმების გამო

საფრანგეთის კონკურენციის უწყებამ ჯარიმები დააკისრა პროფესიულ ასოციაციას Synadis Bio, ასევე კომპანიებს Greenweez, ITM Entreprises და Les Comptoirs de la Bio, ერთიანი, რთული და უწყვეტი ანტიკონკურენციული შეთანხმების (კარტელის) გამო.

დარღვევა ეხება ორგანული პროდუქტების ბრენდების განაწილებას სპეციალიზებულ საცალო ქსელებს (GSS)

და მასობრივ სუპერმარკეტებს (GSA) შორის. შეთანხმების მიზანი იყო ერთი და იმავე ბრენდების ორივე დისტრიბუციის არხში ერთდროულად გაყიდვის შეზღუდვა, რათა თავიდან აეცილებინათ ფასების შედარებადობა და შესაძლო ფასების შემცირება, რაც ზიანს აყენებდა სპეციალიზებული საცალო ოპერატორების კონკურენტულ პოზიციას.

მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ შეთანხმება ხორციელდებოდა Synadis Bio-ის დირექტორთა საბჭოს სხდომების ფარგლებში და შემდგომ განმტკიცდა 2018 წელს მიღებული შიდა წესებით. პრაქტიკა გაგრძელდა 7 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, იმ პერიოდში, როდესაც ორგანული პროდუქტების მიწოდება მასობრივ საცალო ქსელებში მნიშვნელოვნად გაიზარდა და 2016 წლიდან ეს არხი გახდა დომინანტი.

უწყების შეფასებით, პრაქტიკაში აქტიურად მონაწილეობდნენ როგორც ასოციაცია, ასევე Greenweez, ITM Entreprises და Les Comptoirs de la Bio.

შედეგად, Autorité de la concurrence-მა დააკისრა საერთო ჯარიმა 12.67 მილიონი ევროს ოდენობით, რომელიც განაწილდა შემდეგნაირად:

- €10 მილიონი Synadis Bio
- €1.85 მილიონი Greenweez (Carrefour)
- €740,000 ITM Entreprises (Les Mousquetaires)
- €80,000 Les Comptoirs de la Bio

[წყარო:]

01

სამხრეთ კორეის სამართლიანი ვაჭრობის კომისია

სამხრეთ კორეის სამართლიანი ვაჭრობის კომისიამ 6 ქაღალდის მწარმოებელს, ბეჭდვითი ქაღალდის ფასების კარტელში მონაწილეობისთვის 245 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ჯარიმა დააკისრა

სამხრეთ კორეის კონკურენციის უწყებამ ექვს კომპანიას: Hansol Paper, Korea Paper, Moorim Paper, Moorim P&P, Moorim SP და Hongwon Paper, ბეჭდვითი ქაღალდის ფასების კარტელში

მონაწილეობისთვის ჯამურად 338.3 მილიარდი ვონის (დაახლოებით 245 მილიონი აშშ დოლარი) ოდენობის ჯარიმა დააკისრა.

უწყების მოკვლევის მიხედვით, 2021 წლის თებერვლიდან 2024 წლის დეკემბრამდე კომპანიები კოორდინირებულად ზრდიდნენ ფასებს საბაზო ფასების მატებისა და ფასდაკლებების შემცირების გზით. ასევე დადგინდა, რომ მათ 60-ზე მეტი შეხვედრა გამართეს და შეთანხმდნენ ფასების ზრდის შვიდ ეტაპზე, რაც სრულად განხორციელდა და შედეგად ფასები საშუალოდ 71%-ით გაიზარდა.

ბეჭდვითი ქაღალდი წარმოადგენს მნიშვნელოვან წარმოებით რესურსს, რომელიც გამოიყენება საგამომცემლო და საგანმანათლებლო პროდუქციის წარმოებაში. შესაბამისად, ფასების ზრდამ გავლენა მოახდინა მთელ მიწოდების ჯაჭვზე და საბოლოო მომხმარებლებზე.

უწყების შეფასებით, კომპანიები იყენებდნენ კარტელის დასაფარად სხვადასხვა პრაქტიკას, მათ შორის კომუნიკაციის არაფორმალურ არხებსა და კონტაქტების ფსევდონიმებით აღრიცხვას, ასევე ფასების ზრდის გამოცხადების კოორდინაციას.

საქმე წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კარტელურ შემთხვევას, ხოლო დაკისრებული ჯარიმა ერთ-ერთი ყველაზე მაღალია უწყების პრაქტიკაში და ქაღალდის ინდუსტრიაში დაფიქსირებულ ყველაზე დიდ სანქციას წარმოადგენს.

გარდა ამისა, კომპანიებს დაევალათ ფასების პოლიტიკის გადახედვა კონკურენტული გარემოს აღდგენის მიზნით და სამი წლის განმავლობაში ყოველ ექვს თვეში ანგარიშების წარდგენა. Korea Paper და Hongwon Paper-ის საქმე კარტელში მონაწილეობასთან დაკავშირებით გადაეგზავნა პროკურატურას.

წყარო:

სამხრეთ კორეის სამართლიანი ვაჭრობის კომისია

სამხრეთ კორეის სამართლიანი ვაჭრობის კომისიამ SM HWAJIN და HANKOOK CUBIC დააჯარიმა HYNDAI და KIA-ს ავტომობილების ინტერიერის ნაწილების ტენდერებში კარტელური შეთანხმების გამო

სამხრეთ კორეის სამართლიანი ვაჭრობის კომისიამ ჯარიმები დააკისრა SM Hwajin და Hankook Cubic-ს, Hyundai Motor Company-ისა და Kia Corporation-ის ავტომობილების ინტერიერის კომპონენტების შესყიდვის ტენდერებში კარტელური შეთანხმების გამო.

უწყების მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ კომპანიებმა წინასწარ შეათანხმეს გამარჯვებული მონაწილეები და ფასები 2020 წლის სექტემბრიდან 2023 წლის აპრილამდე ჩატარებულ ხუთ ტენდერში. აღნიშნული ტენდერები ეხებოდა ავტომობილების ინტერიერის ზედაპირების დამუშავებას, მათ შორის დაფების, ცენტრალური კონსოლების, კარის პანელებისა და საჭის ელემენტების კომპონენტებს.

KFTC-ის შეფასებით, შეთანხმება მოიცავდა Hyundai Motor Company-ისა და Kia Corporation-ის ახალი მოდელების მიწოდების ტენდერებს, მათ შორის Sportage, EV9, Santa Fe, EV3 და Palisade მოდელებს. შეთანხმების ფარგლებში SM Hwajin-ს განესაზღვრა ოთხი ტენდერის მოგება, ხოლო Hankook Cubic-ს ერთი კონტრაქტი, რაც შემდგომში აისახა ტენდერების შედეგებში.

უწყებამ აღნიშნა, რომ ორივე კომპანია ფლობდა შესაბამისი სერვისის ბაზრის 100%-იან წილს, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებდა კარტელის გავლენას და ზიანს აყენებდა კონკურენტულ გარემოს.

უწყების შეფასებით, კარტელის ფორმირება დაკავშირებული იყო SM Hwajin-ის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ ბაზარზე პოზიციების აღდგენის მცდელობასთან, ხოლო Hankook Cubic-ის მიზანს წარმოადგენდა ფასობრივი კონკურენციის თავიდან აცილება და მოგებიანობის შენარჩუნება.

KFTC-მ კომპანიებს დააკისრა ჯარიმები საერთო ოდენობით 2.59 მილიარდი ვონის (დაახლოებით 1.8 მილიონი ევრო), მათ შორის SM Hwajin-ს დაახლოებით 1.63 მილიარდი ვონი, ხოლო Hankook Cubic-ს დაახლოებით 959 მილიონი ვონი.

უწყებამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შუალედური პროდუქტების ბაზრებზე კონკურენციის დაცვის კუთხით, სადაც კარტელური შეთანხმებები შეიძლება გავრცელდეს და გავლენა მოახდინოს მთელი ინდუსტრიული მიწოდების ჯაჭვზე.

წყარო:

01

იტალიის კონკურენციის უწყება

იტალიის კონკურენციის უწყებამ დაიწყო მოკვლევა BOOKING.COM-ის წინააღმდეგ უსამართლო კომერციული პრაქტიკის სავარუდო გამოყენების გამო

იტალიის კონკურენციის უწყებამ დაიწყო მოკვლევა Booking.com B.V., Booking.com International B.V. და Booking.com (Italia) S.r.l.-ის წინააღმდეგ, უსამართლო კომერციული პრაქტიკის განხორციელების ეჭვის საფუძველზე.

უწყების წინასწარი შეფასებით, პლატფორმა შესაძლოა საცხოვრებელი ობიექტების მიმწოდებლებს „Preferred Partner“ და „Preferred Plus“ პროგრამებში წარმოაჩენდეს როგორც შერჩეულებს მომსახურების ხარისხისა და ფასისა საუკეთესო თანაფარდობის კრიტერიუმებზე დაყრდნობით. თუმცა, არსებული დაშვების პირობები, როგორც ჩანს, არ უზრუნველყოფს აღნიშნული სტანდარტების რეალურად დაკმაყოფილებას.

უწყების შეფასებით, აღნიშნულ პროგრამებში მონაწილეობა, სავარაუდოდ, ძირითადად დაკავშირებულია უფრო მაღალი საკომისიოების გადახდასთან და არა მომსახურების ხარისხის ობიექტურ შეფასებასთან. შედეგად, ამ მომწოდებლების პლატფორმაზე გამოკვეთილი პოზიციონირება და მათ შესახებ გაკეთებული კომუნიკაცია შესაძლოა ქმნიდეს შეცდომაში შემყვან შთაბეჭდილებას მომხმარებელში, რომ ისინი სთავაზობენ უკეთეს ფასსა და ხარისხის თანაფარდობას, ვიდრე პროგრამის მიღმა არსებული შეთავაზებები. ეს კი შესაძლოა გავლენას ახდენდეს მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე და იწვევდეს შედარებით უფრო მაღალი ფასის მომსახურების არჩევას.

მოკვლევის ფარგლებში ინსპექტირება განხორციელდა Booking.com (Italia) S.r.l.-ის ოფისებში, რომელიც ჩატარდა იტალიის კონკურენციის უწყების წარმომადგენლების მიერ, იტალიის ფინანსური პოლიციის (Guardia di Finanza) სპეციალური ანტიმონოპოლიური დანაყოფის მხარდაჭერით.

წყარო:

02

იტალიის კონკურენციის უწყება

იტალიის კონკურენციის უწყებამ REVOLUT-ს უსამართლო კომერციული პრაქტიკისთვის 11 მილიონ ევროზე მეტი ოდენობის ჯარიმა დააკისრა

იტალიის კონკურენციის უწყებამ დაადგინა, რომ Revolut Securities Europe UAB-მა და Revolut Group Holdings Ltd-მა განახორციელეს უსამართლო კომერციული პრაქტიკა, რის საფუძველზეც კომპანიებს ჯამურად 11 მილიონ ევროზე მეტი ოდენობის ჯარიმა დაეკისრათ.

დადგინდა, რომ კომპანიები მომხმარებლებს არ აწვდიდნენ მკაფიო, სრულ და ადეკვატურ ინფორმაციას საკომისიოს გარეშე საინვესტიციო მომსახურებასთან დაკავშირებული რეალური ხარჯებისა და შეზღუდვების შესახებ. აღნიშნული მომსახურება მოიცავს ფრაქციულ აქციებს, რომლებიც განსხვავდება სრული აქციებისგან რისკების, უფლებებისა და გადაცემის პირობების თვალსაზრისით.

ამასთან, დამატებით 5 მილიონი ევროს ოდენობის ჯარიმა დაეკისრა Revolut Group Holdings Ltd-სა და Revolut Bank UAB-ს გადახდის ანგარიშების შეჩერების, შეზღუდვისა და დაბლოკვის პროცესში აგრესიული კომერციული პრაქტიკის გამოყენებისთვის. უწყების შეფასებით, კომპანიები არ უზრუნველყოფდნენ მომხმარებლებისთვის არსებითი ინფორმაციის სათანადო მიწოდებას, მათ შორის წინასახელშეკრულებო ინფორმაციის, წინასწარი შეტყობინების და ეფექტიანი გასაჩივრების შესაძლებლობის შესახებ. აღნიშნულმა პრაქტიკამ შეზღუდა მომხმარებლების წვდომა საკუთარ სახსრებსა და მომსახურებებზე და შეაფერხა მათი სახელშეკრულებო უფლებების რეალიზება.

დამატებით, Revolut Group Holdings Ltd-სა და Revolut Bank UAB-ს დაეკისრათ 1.5 მილიონი ევროს ოდენობის ჯარიმა იტალიური IBAN-ის (IT) მიღების პირობებისა და ვადების შესახებ არასაკმარისი და არამკაფიო ინფორმაციის მიწოდებისთვის, რაც ასევე წარმოადგენს მომხმარებელთა კოდექსის შესაბამისი მუხლების დარღვევას.

უწყების განცხადებით, აღნიშნული გადაწყვეტილება ხაზს უსვამს ფინანსურ და ციფრულ სერვისებში გამჭვირვალობის, ინფორმირების ვალდებულებისა და მომხმარებელთა ეფექტიანი დაცვის აუცილებლობას.

წყარო:

01

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის კომისია

LIVE NATION-ს 15 მილიონ PLN- ზე მეტი ჯარიმა და მომხმარებლებისთვის კომპენსაციის ვალდებულება დაეკისრა

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის უწყებამ დაადგინა, რომ კომპანია Live Nation იყენებდა მომხმარებელთა მიმართ არაკეთილსინდისიერ საკონტრაქტო პირობებს და მას დააკისრა 15.3 მილიონ PLN-ზე მეტი ოდენობის ჯარიმა, ასევე დაზარალებული მომხმარებლებისთვის კომპენსაციის გადახდის ვალდებულება.

მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ კომპანიის პირობები ართულებდა თანხის დაბრუნებას გაუქმებული ღონისძიებების შემთხვევაში და ბუნდოვანი ტერმინოლოგიის გამოყენებით ზღუდავდა მომხმარებელთა მიერ ღონისძიებებზე პირადი ნივთების შეტანის შესაძლებლობას.

უწყების შეფასებით, ბილეთის შეძენის შემდეგ წესები უნდა იყოს მკაფიო, გამჭვირვალე და პროგნოზირებადი, ხოლო მომხმარებელთა უფლებები დაცული უნდა იყოს მომსახურების მთელი ციკლის განმავლობაში.

მოკვლევის მიხედვით, Live Nation-ის წესები, რომლებიც ბილეთების შეძენის შემდეგ შეიცვალა, პრაქტიკულად კრძალავდა სხვადასხვა ზომის ჩანთებისა და პირადი ნივთების შეტანას და მომხმარებლებს ავალდებულებდა დამატებითი საბარგო სერვისის გამოყენებას.

უწყების შეფასებით, აღნიშნული პრაქტიკა იწვევდა არათანაბარ პირობებს შესვლის ეტაპზე და ზოგ შემთხვევაში მომხმარებლებს საერთოდ ართმევდა ღონისძიებაზე დასწრების შესაძლებლობას.

მოკვლევამ ასევე აჩვენა, რომ გაუქმებული ღონისძიებების შემთხვევაში თანხის დაბრუნება არ ხდებოდა ავტომატურად. მომხმარებლებს ევალებოდათ განაცხადის წარდგენა და ექვსთვიანი ვადის დაცვა, რომლის დარღვევის შემთხვევაში ისინი კარგავდნენ დაბრუნების უფლებას, მიუხედავად იმისა, რომ ღონისძიება არ ჩატარებულა.

UOKiK-ის განცხადებით, აღნიშნული პირობები არ შეესაბამება ევროკავშირის მომხმარებელთა დაცვის სტანდარტებს და ქმნის არათანაბარ ბალანსს მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის.

უწყების გადაწყვეტილებით, Live Nation-ს დაეკისრა 15.3 მილიონ PLN ოდენობის ჯარიმა. ამასთან, კომპანიას დაევალა დაზარალებული მომხმარებლებისთვის თანხის დაბრუნება გაუქმებული ღონისძიებების შემთხვევაში, ასევე საბარგო მომსახურებაზე გადახდილი თანხების კომპენსაცია.

გადაწყვეტილება არ არის საბოლოო და შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

წყარო:

01

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო

ევროკავშირის სასამართლომ უარყო RED BULL-ის სარჩელი კონკურენციის სამართლის ფარგლებში ჩატარებული შემოწმების ხარჯების ანაზღაურებაზე

ევროკავშირის საერთო სასამართლომ General Court of the European Union უარყო Red Bull-ის სარჩელი, რომელიც მიზნად ისახავდა European Commission-ის მიერ კონკურენციის სამართლის ფარგლებში ჩატარებული შემოწმების პროცესში გაწეული იურიდიული ხარჯების ანაზღაურებას.

2026 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებით სასამართლომ დაადგინა, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ და ექსკლუზიურად არის გამოწვეული იმ გარემოებით, რომ შემოწმება მიმდინარეობდა ევროკომისიის შენობებში. შესაბამისად, სასამართლომ არ დააკმაყოფილა კომპანიის მოთხოვნა იმ იურიდიული მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაზე, რომლებიც დაკავშირებული იყო აღნიშნულ ეტაპთან.

საქმე უკავშირდება 2023 წლის მარტში European Commission-ის მიერ Red Bull-ის ოფისებში განხორციელებულ შემოწმებას, რომელიც კონკურენციის სამართლის შესაძლო დარღვევას ეხებოდა. შემდგომში, 2023 წლის ივნისიდან სექტემბრამდე პერიოდში, შემოწმება გაგრძელდა ბრიუსელში, კომისიის შენობებში, სადაც განხორციელდა დიდი მოცულობის დოკუმენტაციის დეტალური ანალიზი.

ამ პროცესში კომპანიას წარმოადგენდნენ ავსტრიაში დაფუძნებული იურიდიული მრჩევლები, ასევე დამატებით ჩართული იყო ბრიუსელში მოქმედი იურიდიული ფირმა.

კომპანიამ მოითხოვა, მათ შორის, მგზავრობის, განთავსების, თანამშრომელთა და იურიდიული მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც დაკავშირებული იყო ბრიუსელში განხორციელებულ შემოწმების ეტაპთან და მათ „დამატებით ხარჯებად“ მიიჩნევდა. European Commission-მა 2024 წლის ოქტომბერში უარყო აღნიშნული მოთხოვნა იმ საფუძვლით, რომ ასეთი ხარჯები არ წარმოადგენდა დამატებით ხარჯებს, ვინაიდან ისინი, სავარაუდოდ, წარმოიქმნებოდა შემოწმების კომპანიის ოფისებში ჩატარების შემთხვევაშიც.

სასამართლომ გაიზიარა კომისიის პოზიცია და განმარტა, რომ „დამატებითი ხარჯები“ მოიცავს მხოლოდ იმ ხარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის გამოწვეული შემოწმების

კომისიის შენობებში ჩატარებით და არა იმ ხარჯებს, რომლებიც ჩვეულებრივადაც გაწეული იქნებოდა შემოწმების კომპანიის ოფისებში გაგრძელების შემთხვევაში.

Red Bull-ს უფლება აქვს, გადაწყვეტილება გაასაჩივროს Court of Justice of the European Union-ში ორი თვისა და ათი დღის ვადაში, თუმცა მხოლოდ სამართლებრივ საკითხებზე დაყრდნობით.

წყარო:

01

ჩეხეთის რესპუბლიკის კონკურენციის დაცვის ოფისი

ჩეხეთის უწყებამ დაადასტურა LORENC LOGISTIC-ის დაჯარიმება სარკინიგზო ამანათების გადაზიდვის კარტელის საქმეში

ჩეხეთის კონკურენციის დაცვის ოფისმა დაადასტურა Lorenc Logistic s.r.o.-ის მიმართ დაკისრებული 2.1 მილიონი ჩეხური კრონის (€85,000) ოდენობის ჯარიმა, სარკინიგზო ამანათების გადაზიდვის სფეროში საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებულ კარტელში მონაწილეობის გამო. გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ხელახალი განხილვის შედეგად, მას შემდეგ რაც იგი უწყებას დაუბრუნდა Nejvyšší správní soud-ის მიერ, და საბოლოოა.

უწყების მოკვლევის თანახმად, Lorenc Logistic s.r.o. კოორდინაციას ახორციელებდა EXPRES VAN s.r.o.-თან ჩეხეთის სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მმართველის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში 2014-2016 და 2016-2018 წლებში, კონკურენციის შეზღუდვისა და კონტრაქტების წინასწარ გადანაწილების მიზნით.

მოკვლევის ეტაპზე კომპანიამ აღიარა დარღვევა და ისარგებლა ჯარიმის შემცირების მექანიზმით, რის შედეგადაც სანქცია 20%-ით შემცირდა და საბოლოოდ 2.1 მილიონი კრონი განისაზღვრა. ამასთან, კომპანიას არ დაეკისრა საჯარო ტენდერებში მონაწილეობის აკრძალვა. მოგვიანებით, კომპანიამ გაასაჩივრა ჯარიმის ოდენობა მისი არაპროპორციულობის არგუმენტით.

წყარო:

01

ბრაზილიის ეკონომიკური თავდაცვის ადმინისტრაციული საბჭო (CADE)

ყოველდღიური ჯარიმა META-სა და WHATSAPP -ს

ბრაზილიის უწყებამ ძალაში დატოვა ყოველდღიური ჯარიმა, რომელიც დაკისრებული აქვს Meta Platforms-სა და WhatsApp-ს, ხელოვნური ინტელექტის ჩატბოტების პროვაიდერებისთვის პლატფორმაზე წვდომასთან დაკავშირებული დროებითი ღონისძიების სავარაუდო შეუსრულებლობის გამო.

უწყების ტრიბუნალმა ერთხმად დაადასტურა, რომ კომპანიები ვალდებულნი არიან გადაიხადონ 250,000 ბრაზილიური რეალი დღეში (დაახლოებით 50,000 აშშ დოლარი) მანამდე, ვიდრე სრულად არ შეასრულებენ დაკისრებულ ვალდებულებებს.

Conselho Administrativo de Defesa Econômica-ის შეფასებით, Meta Platforms-მა დროებითი ღონისძიების მოქმედების პერიოდში შეცვალა WhatsApp Business-ის პირობები და შემოიღო საფასური AI ჩატბოტების მიერ გაგზავნილ შეტყობინებებზე, რაც შესაძლოა გამოიწვიოს კონკურენციის შეზღუდვის ეფექტები.

ტრიბუნალმა განმარტა, რომ შესაბამისობა გულისხმობს არა მხოლოდ ახალი პირობების შეჩერებას, არამედ იმ კონკურენტული გარემოს სრულ აღდგენას, რომელიც არსებობდა ცვლილებებამდე. შესაბამისად, AI ჩატბოტების სერვისებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა ოპერირება განახორციელონ დამატებითი საფასურის გარეშე.

უწყების შეფასებით, აღნიშნული საფასურები შეიძლება იქცეს ბაზარზე შესვლის ან გაფართოების ბარიერად, განსაკუთრებით მცირე და ახალი კომპანიებისთვის, და გამოიწვიოს ეფექტები, რომლებიც ფუნქციურად უტოლდება თანამშრომლობაზე კონსტრუქციულ უარს.

თავის მხრივ, Meta Platforms-მა და WhatsApp-მა განაცხადეს, რომ დროებითი ღონისძიება არ კრძალავდა WhatsApp Business API-ის გამოყენებისთვის საფასურის დაწესებას და რომ აღნიშნული საფასურები შეესაბამება ბაზარზე არსებულ პრაქტიკას.

ჯარიმა ძალაში დარჩება მანამდე, ვიდრე Conselho Administrativo de Defesa Econômica არ დაადასტურებს გადაწყვეტილების სრულ შესრულებას.

წყარო:

01

თურქეთის კონკურენციის უწყება

თურქეთის კონკურენციის უწყებამ დაიწყო მოკვლევა კონკურენციის პოლიტიკაზე ციფრული ტრანსფორმაციის გავლენის შესაფასებლად

თურქეთის კონკურენციის უწყებამ დაიწყო სტრატეგიული მოკვლევა, რომელიც მიზნად ისახავს ციფრული ტრანსფორმაციის გავლენის შეფასებას კონკურენტულ გარემოსა და მარეგულირებელ ჩარჩოებზე.

კვლევა სახელწოდებით „კონკურენციის პოლიტიკა ციფრულ ეპოქაში“ აანალიზებს, თუ როგორ ცვლიან ციფრული პლატფორმები, მონაცემებზე დაფუძნებული ბიზნეს-მოდელები და ეკოსისტემური ბაზრის სტრუქტურები კონკურენციურ დინამიკას და რა გამოწვევებს უქმნის ეს ტრადიციულ აღსრულების მექანიზმებს.

უწყების შეფასებით, დიჯიტალიზაცია არსებითად ცვლის ბაზრების ფუნქციონირებას. პლატფორმების გაფართოება, ქსელური ეფექტები და მონაცემთა კონცენტრაცია აძლიერებს საბაზრო ძალაუფლების თავმოყრას, ზრდის ბაზარზე შესვლის ბარიერებს და ამცირებს კონკურენციურ ზეწოლას, რაც საჭიროებს არსებული კონკურენციის ინსტრუმენტების გადახედვას.

კვლევის ერთ-ერთი მთავარი მიზანია უწყების არსებული პრაქტიკის, მათ შორის მოკვლევებისა და სექტორული ანალიზების სისტემატიზაცია და ციფრული ეკონომიკისთვის უფრო თანმიმდევრული ანალიტიკური ჩარჩოს განვითარება.

პროექტი ასევე ფოკუსირდება ex-post და ex-ante მიდგომებს შორის ბალანსზე, ევროკავშირის, გაერთიანებული სამეფოსა და გერმანიის პრაქტიკის გათვალისწინებით, სადაც სულ უფრო ფართოდ ინერგება პრევენციული მარეგულირებელი ინსტრუმენტები.

ანგარიში ასევე გააანალიზებს გლობალურ ტენდენციებს, მსხვილი ტექნოლოგიური კომპანიების საბაზრო პოზიციებს და მონაცემებთან, პლატფორმულ ეკოსისტემებთან და მრავალმხრივ ბაზრებთან დაკავშირებულ კონკურენციულ საკითხებს.

პროექტის საბოლოო შედეგი იქნება ანგარიში „კონკურენციის პოლიტიკა ციფრულ ეპოქაში“, რომელიც წარმოადგენს განახლებულ პოლიტიკურ რეკომენდაციებს და მიზნად ისახავს თურქეთის კონკურენციის ჩარჩოს გაძლიერებას ციფრული ეკონომიკის პირობებში.

წყარო:

გამოყენებული ინფორმაცია ეყრდნობა უწყებების/ორგანიზაციების ოფიციალურ საიტებზე არსებულ ინფორმაციებს.

გადამოწმდა საფრანგეთის, სამხრეთ კორეას, იტალიის, პოლონეთის, თურქეთის, ჩეხეთის და ბრაზილიის კონკურენციის უწყებების ოფიციალური გვერდები, ასევე ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ვებგვერდი.

15 20

info@gcca.gov.ge

www.gcca.gov.ge

GCCA • საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო

GCCA • Georgian Competition and Consumer Agency

0102 ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი - 154.
ბიზნეს ცენტრი "მწვანე ოფისი"